საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

ხოხობი - მისი ბიოლოგიური თავისებურებანი, ჯიშები, გავრცელების არეალი, მოშენების ფორმები, ინკუბაცია და დაავადებები

(რეკომენდაცია)

თბილისი
2019

UDK (უაკ) 639.123.
გ-511

აღნიშნული ბროშურა დაეხმარება ხოხბის მოშენებით დაინტერესებულ სამონადირეო მეურნეობებს, ფერმერებს, მეფრინველეობის დარგის სპეციალისტებს და მოყვარულებს.

თანამედროვე პირობებში ადამიანის საქმიანობის გავლენა ბიოცენოზებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც არსებითად ვლინდება მათ ფუნქციონირებაზე. აქ არსებული ბუნებრივი კავშირების რღვევა განაპირობებს რა ცხოველებისა და ფრინველების სახეობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს, საგრძნობლად ამცირებს სამონადირეო მეურნეობებისათვის გამოსაყენებელ რესურსებს. გარკვეული სახეობები, რომლებზეც არცთუ დიდი ხნის წინათ დაშვებული იყო ნადირობა, მათი რიცხოვნობის შემცირების გამო, ახლა უკვე გადადიან განსაკუთრებით დასაცავ, იშვიათ ან გაქრობის პირას მყოფ სახეობათა რიგებში. იქმნება საშიშროება, რომ სულ მოკლე ხანში, ისინი საერთოდ გაქრებიან პლანეტის ფაუნის გენოფონდიდან. სამწუხაროდ, ამის შემსწრენი არაერთგზის გავმხდარვართ, როდესაც ადამიანთა უგუნურობის გამო, ფრინველთა და ცხოველთა რიგებიდან უკვალოდ გამქრალან ძვირფასი სახეობები.

დღეისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გარეული ფრინველის სანაშენე მეურნეობების ორგანიზებას, რომლებიც არამარტო მოამარაგებენ სამონადრეო მეურნეობებს, არამედ ხელს შეუწყობენ სხვასხვა სახეობის გარეული ფრინველის გენოფონდის შენარჩუნებას. მეფრინველეობის ტრადიციული მიმართულებებისაგან განსხვავებით, გარეული ფრინველის ხელოვნურად გამრავლების დროს დაუშვებელია პირდაპირ, მექანიკურად იქნას გამოყენებული ზოოტექნიკური ღონისძიებები. თუმცა ყველა შემთხვევაში მკაცრად უნდა იქნეს დაცული: მოვლა-შენახვის პირობები, კვების ნორმები, მოშენების მეთოდები, ინკუბაციის რეჟიმი და სხვა. აღსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული ნიუანსები, რომლებიც დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

ავტორი: ანატოლი გიორგაძე - დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი.

რედაქტორი: ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი;

რეცენზენტი: მარინე ბარვენაშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი;

სსმმ აკადემიის გამომცემლობა "აგრო".

ISBN 978-994-27-074-1

ხოხობი (Phasianus colchicus) – ქათმისებრთა რაზმის, ხოხბისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი ბინადრობს ტყეებში, მდინარეების ახლოს, სადაც მაღალი ტენიანობაა. ეტანება, როგორც დაბლობ, ასევე გორაკიან ადგილებს. ფრენის შეზღუდული უნარის გამო, ხოხობი ძირითადად ფეხით გადაადგილდება.

ხოხბის ევროპაში ინტროდუქციის პირველი ცდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მოხდა. საყურადღებოა, რომ ბერძნებმა ეს ფრინველი ტროას ომამდე ბევრად უფრო ადრე, კოლხეთში, მდინარე ფაზისის (მდ. რიონი) სანაპიროზე აღმოაჩინეს. სწორედ აქედან წარმოდგება მისი სახელწოდება (Phasianus). არსებობს ცნობები იაზონის კოლხეთში მოგზაურობის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ იგი ძლიერ მოხიბლა ხოხბის ბუმბულის მდიდრულმა და საუცხოო შეფერილობამ. მან ხოხობი კოლხეთიდან საბერძნეთში წამოიყვანა, აქედან იგი ჯერ ძველ რომში, ხოლო მოგვიანებით ინგლისში და ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელდა.

მეხოხბეობა მეფრინველეობის განსაკუთრებული დარგია. იგი დიდი ხანია რაც არსებობს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ყოველწლიურად სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს.

სოფლის მეურნეობის ინტესიფიკაცია, ტყეების გაჩეხვა და ჭაობების ამოშრობა სწრაფად და ძლიერ ცვლის გარემომცველ ბუნებას. მცირდება მრავალი სახეობის ფრინველთა რიცხოვნობა. ამასთან დაკავშირებით ჩნდება აუცილებლობა ძველი სახეობები აღდგენილი ან შეცვლილი იქნას ახლით, გარემო პირობების მკვეთრი ცვალებადობის მიმართ ამტანი და ამასთანავე ადამიანის გარემოცვას შეჩვეული სახეობებით. ხოხბისნაირ ფრინველებს შორის აღნიშნული თვისებებით განსაკუთრებით გამოირჩევა ჩვეულებრივი ხოხობი.

ცნობილია ჩვეულებრივი ხოხბის (Phasianus colchicus) დაახლოებით ოცდაათი ქვესახეობა:

ამიერკავკასიური ხოხობი (Phasianus c. colchicus) – ბინადრობს მდ. რიონის და მდ. მტკვრის აუზში.

ქართული ხოხობი (Ph. c. lorensi) – ბინადრობს მდ. მტკვრის აუზის ქვედა ნაწილში და მდ. არაქსის და მისი შენაკადების აუზში.

ჩრდილოკავსასიური ხოხობი (Ph. c. septentrionalis) – ბინადრობს კასპიის ზღვის სანაპიროებზე, სამხრეთით აფშერონის ნახევარკუნძულამდე, ხოლო ჩრდილოეთით მდ. ვოლგის დელტამდე.

ტალიშიური ხოხობი (Ph.c. talischensis) – ბინადრობს კასპიისპირეთის დაბლობში მდ. მტკვრის, ტალიშის და ლენქორანის დელტის სამხრეთით.

სპარსული ხოხობი (Ph.c.persicus) – გავრცელებულია დასავლეთ კოპეტდაღში და თურქმენეთის ირანთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

მურგაბიული ხოხობი (Ph. c. prinsipalis) – გავრცელებულია აღმოსავლეთ კოპეტდაღის ველებზე, მდ. მურგაბისა და ტაჯენის აუზებში.

ამუდარიული ხოხობი (Ph. c. zarudny) – გავრცელებულია მდ. ამუდარიის ხეობაში.

ტაჯიკური ხოხობი (Ph. c. bianchil) – გავრცელებულია მდ. პიანჯის, ამუდარიის და ვახშის ხეობაში, არალ-პაიგამარის ნაკრძალში.

ხივინიური ხოხობი (Ph. c. chrysomelas) – გავრცელებულია ამუდარიის ქვედა ნაწილში.

ზარავშანური ხოხობი (Ph. c. zenafschanicus) - ბინადრობს მდ. ზარავშანის და კაშკადარის ხეობაში.

სირდარიული ხოხობი (Ph. c. turcestanicus) – ბინადრობს მდ. სირდარიის დელტიდან ფერგანის ველებამდე, აგრეთვე არალის ზღვის კუნძულებამდე.

სემირეჩინსკული ხოხობი (Ph. c.monglicus) – გავრცელებულია ყაზახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მისი გავრცელების არეალი ღრმად შედის ტიან-შანის მთებში. იგი ბინადრობს აგრეთვე ნარინის ველებზე, ისიკ-ყულის ირგვლივ და მასში ჩამავალი მდინარეების ხეობებში, ასევე ზაილიისკის ალატაუს მთებში.

მანჯურიული ხოხობი (Ph. c. pallasi) – ბინადრობს მდ. უსურიისა და ამურის აუზებში.

ტაივანური ხოხობი (Lophura swinholi) – ბინადრობს ტაივანის მაღალმთიან ტყეებში.

არსებობს ჩვეულებრივი ხოხბის ჰიბრიდული ფორმა – სამონადირეო ხოხობი, რომელსაც ამრავლებენ სამონადირეო მეურნეობებში.

დეკორატიულ ხოხბებს შორის განასხვავებენ შემდეგ სახეობებს: პრიალა ხოხობი (Lophophorus); კუდზოლიანი, გრძელკუდიანი ხოხობი (Syrmaticus); ფართო-კუდიანი ხოხობი (Lophura); ნამდვილი ანუ კეთილშობილი ხოხობი (Phasianus); რქიანი ხოხობი ანუ ტროგოპანი (Trogopan); ფარშევანგ ხოხობი; საყელოიანი ხოხობი (Chrisolophus); ყურებიანი ხოხობი (Crossoptilon); სოლკუდიანი ხოხობი (Pucrasia macrolopha); ალმასის ხოხობი (Chrysolophus amherstiae); ოქროს ხოხობი (Chisolopuhs pictus); სამეფო ხოხობი (Syrmaticus reevesi). ეს უკანასკნელი ზომით ყველა სახეობის ხოხობზე დიდია. მას ძალზედ გრძელი კუდი აქვს. ასაკოვანი ფრინველის კუდის სიგრძე 1,5 მეტრს აღწევს. იგი ჩრდილოეთ ჩინეთის მთებში ბინადრობს.

ხოხობი საკმაოდ მოზრდილი ფრინველია. მისი მასა მერყეობს 720 გრამიდან 1800 გრამამდე. სხეულის აღნაგობით ხოხობი მოგვაგონებს ქათამს, რომლისგანაც იგი განსხვავდება გრძელი კუდით. ხოხობი ძალიან ფრთხილი და მშიშარაა. მხოლოდ ხშირ ბუჩქნარში გრძნობს თავს უსაფრთხოდ, თუმცა სიფხიზლეს არც აქ კარგავს. საფრთხის შემთხვევაში ფრინველი თავს გაქცევით შველის. სირბილის დროს თავი და კისერი წინამხარეს აქვს დაწეული, ხოლო კუდი აწეული. ქათმისნაირებში იგი ყველაზე კარგი მორბენალია და კარგად დარბის არა მხოლოდ გაშლილ ადგილებში, არამედ ხშირ ბუჩქნარშიც. თავისი სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ხოხობი მიწაზე ატარებს. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს ფრენას. გადაიფრენს რა 70-150 მეტრს, იგი კვლავ ეშვება მიწაზე. დაფრინავს ცუდად და ძალიან ცოტას, ხელმეორედ აფრენა უჭირს და ამიტომაც თავს აფარებს ხშირ ბუჩქნარს.

ჩვეულებრივი ხოხობი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და მკვეთრად შეფერილი ფრინველია. მამლებში ჰარმონიულადაა შეხამებული ოქროსფერი და მუქი მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი. მოყვითალო-მოყავისფრო ფერის გრძელი კუდი სპილენძისფერი-იისფერი ბზინვარებით გამოირჩევა. დედლებს უფრო მოკრძალებული ფერის ბუმბული გააჩნიათ, მოყავისფრო-მოყვითალო იისფერი-მოვარდისფერო ბზინვარებით კისერზე. მამალი დედლისაგან გამოირჩევა არამარტო შეფერილობით, არამედ ზომით, კუდის სიგრძით და ფეხებზე დეზების არსებობით, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მაგრდება. სოლისებური კუდი შედგება 18 ვიწრო საჭის ბუმბულისაგან. მას თვალებს შორის წითელი ფერის, სქელი, შიშველი კანი აქვს. თავზე არსებული ბუმბული გვერდებზე, თვალების უკან, თავის სხვა ნაწილთან შედარებით უფრო მეტად აქვს წაგრძელებული. მართალია, ხოხობი მკვეთრი ფერის ბუმბულის მატარებელია, თუმცა მისი შეფერილობა საარსებო გეოგრაფიულ ზონაზეცაა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ ბუმბულის შესანიშნავი ფერის გამო მისგან ამზადებენ სხვადასხვა სახის ფიტულებს ტაქსიდერმულ საამქროებში.

მამალი ზომით დაახლოებით 80-90 სმ-ია, ხოლო დედალი - 60 სმ. აქედან

კუდის სიგრძეზე მოდის შესაბამისად 42,5-53,6 და 29-31 სმ. ფეხები ხოხობს შეუბუმბლავი აქვს, ქერცლიანი. მოზარდებს - მოყვითალო-მოყავისფრო ფერის, რომელიც მოგვიანებით უმუქდებათ.

ხოხბის საკვები საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი იკვებება დაახლოებით 80 სახეობის მწერით. მათ შორისაა: ხოჭო, ჭიანჭველა, ობობა, ნამისჭია, ლოკოკინა და სხვა. მას შეუძლია გადაყლაპოს მოზარდი ხვლიკი და გველი, ასევე პატარა ზომის თაგვი. ხოხობი ეტანება ტყის ველურ მცენარეებსაც, ხორბალს, კულტურულ და ველურად მზარდი მცენარეების თესლებს, ზოგჯერ იგი ვენახებსაც სტუმრობს. იკვებება რა მავნე მწერებით და სარეველა ბალახების მარცვლებით, მას დიდი სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის (ცხრილი 1).

ზრდასრული ხოხბის კვების სადღეღამისო რაციონი (ულუფა)

ცხრილი 1.

საკვების სახეობა	შემოდგომა-ზამთრის პერიოდი (გ)	კვერცხდების პერიოდი (გ)
სიმინდი	40	40
ხორბალი	20	20
ხორბლის ანარჩენები	14	9
მზესუმზირის კოპტონი	10	15
ძვალ-ხორცის ფქვილი	3	5
თევზის ფქვილი	10	10
ძვლის ფქვილი	2	-
თევზის ქონი	1	1

მამლები ზაფხულში განცალკევებულად ბინადრობენ. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი ტერიტორია, რომელსაც იგი სხვა ხოხბებისაგან იცავს. დედლები ჯგუფებად ერთიანდებიან. ხოხობი პოლიგამიური ფრინველია. გაზაფხულზე მამრი იწყებს ტიხტიხს, გამოსცემს ხორხისმიერ ბგერებს და იქნევს ფრთებს. ამგვარად იგი დედალს უხმობს. შეწყვილების შემდეგ მამალი არ ზრუნავს არც დედალზე და არც შთამომავლობაზე. დედალი დებს კვერცხს პატარა ორმოში ტყის პირას, გზის პირას და სხვა მზიან ადგილებში. ბუდე ამოფენილია ბალახით, ფოთლებით და ბუმბულით. კვერცხების რაოდენობა ბუდეში 8-18 ცალია. სხვადასხვა ელფერის კვერცხი მოწაბლისფრო-წენგოსფერისაა. ზოგჯერ ბუდეში შეიძლება 25-30 ცალი კვერცხიც აღმოჩნდეს, რომლებიც სხვადასხვა დედლის მიერაა დადებული. თუ ბუდეში არსებული კვერცხები რაიმე მიზეზით განადგურდა, დედალს კიდევ შეუძლია დაახლოებით სამი კვირის შემდეგ დადოს 6-8 ცალი.

საინკუბაციო პერიოდია აპრილი-მაისი. ხოხბის მამრსა და მდედრს შორის საუკეთესო სქესობრივი თანაფარდობაა 1:5 ან 1:7. არასამონადირეო რაიონებში დასაშვებია თანაფარდობა 1:3, პატარა სახოხბეებში 1:3 ან 1:5. ხოხობი იჩეკება წითური ფერის, მუქი ზოლებით. ახალგამოჩეკილი ლაპი მოძრავი და დამოუკიდებელია, თუმცა პირველი ორი კვირა ის ძლიერ მგრძნობიარეა დაავადებების მიმართ. ჩვეულებრივ მოზარდი, ზრდასრული ფრინველის ზომებს აღწევს 5 თვის ასაკში, ოქტომბერ-ნოემბრის თვეში. ამ დროისათვის სრულად ვლინდება მისი მეხორცული კონდიცია და ხორციც შესანიშნავ გემოს იძენს. ხოხობი სწრაფად ეგუება ცვალებად გარემო პირობებს, ადვილად ადაპტირდება მისი საარსებო არეალის გარეთ მდებარე უცხო გარემოში.

ევროპაში ჩვეულებრივი ხოხბის ხელოვნურად მოშენების პირველი ცდა თარიღდება XVI საუკუნის დასაწყისით. ხსენებული ასწლეულის ბოლოს მეხოხბეობა საკმაოდ სწრაფად ვითარდება დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ინგლისში. ამ ფრინველს ამრავლებდნენ, როგორც სამონადირეო, ასევე დეკორატიული მიზნებისათვის. რუსეთში ხოხბის ხელოვნური მოშენება დაიწყეს XIX საუკუნეში. დღეისათვის ყველაზე პოპულარულია ხოხბის სამონადირეო მიზნებისათვის მოშენება. ხოხობი ინტროდუცირებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში – აშშ-ში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში და სხვ.

სამონადირეო ხოხობი, რომელიც ჩვეულებრივი ხოხბის ჰიბრიდული ფორმაა, ნადირობის შესანიშნავი ობიექტია. რაც მთავარია, მისი ხორცი მაღალი კვებითი ღირებულების მქონეა და ამასთანავე დიეტური. ამ თვისებების გამო ხოხობს ფართოდ იყენებენ კულინარიული მიზნებისათვის, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში სადაც მაღალ დონეზეა განვითარებული მეფრინველეობა, ასეთებია: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა. ხოხბის ხორცის გამოყენების ტენდენცია ნაწილობრივ გააძლიერა ბაზრის გაჯერებამ სამრეწველო წარმოების ინტესიფიკაციით გამოწვეულმა ბროილერის, ინდაურის და სხვა შინაური ფრინველის ხორცის ხარისხის დაცემამ. ამჟამად, როდესაც დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების წესს, მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნა ხოხბის ხორცზე. მაღალი საგემოვნო თვისებების, ქოლესტერინის დაბალი შემცველობის ხოხბის ხორცი, რომლისგანაც მინიმალური დროის დანახარჯებით შესაძლებელია მომზადდეს ნაირგვარი კერძები, შეუცვლელია თანამედროვე ადამიანისათვის. დასავლეთის დიეტოლოგების პროგნოზით, XXI საუკუნეში ხოხბის ხორცი თავისუფლად შეძლებს შეცვალოს ადამიანის კვებაში დამკვიდრებული ხორცის ტრადიციული სახეობები.

ხელოვნურ პირობებში, ხოხობს შინაური ქათმის წივილების მსგავსად ზრდიან. ვინაიდან იგი მნიშვნელოვანი სარეწაო-სამონადირეო ფრინველია, მას ამრავლებენ ძალიან ბევრ ნაკრძალში და სამონადირეო მეურნეობებში. ხოხობი ხასიათდება მალმწიფადობით. თანამედროვე შენახვის სისტემების ეფექტურობის გამო, შესაბამისი კვებისა და მოვლა-შენხვის პირობებში, მას წარმატებით აშენებენ საკარმიდამო მეურნეობებშიც. მისი დადებითი თვისებები არამარტო გემრიელი და დიეტური ხორცით შემოიფარგლება, არამედ იმითაც, რომ იგი ნაკლებად მომთხოვნია გარემო პირობების მიმართ და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ანადგურებს მავნე მწერებს, რომელთა შორის კოლორადოს ხოჭოცაა.

ხოხბის მოშენება ეფექტურია ვოილერული სისტემის გამოყენების დროს (1მ^2 – 1 ფრთაზე), სადაც ბუნებრივთან მიახლოებული პირობებია.

ვოილერებში ხოხობს ინახავენ ოჯახებად ერთ მამალზე 3-7 დედლის თანაფარდობით. შინაურ პირობებში ფრინველს კვებავენ დღეში 2-ჯერ. დილით აძლევენ მსუბუქ საკვებს, ხოლო დღის მეორე ნახევარში - მარცვლოვნების ნარევს. საკვების რაოდენობა დღეში ერთ ფრთაზე საშუალოდ 80 გრამია. შენახვის

ვოილერულ პირობებში, ფრინველს საკვებად შეიძლება მიეცეს ასევე სამზარეულოს ანარჩენები, კომბინირებული საკვები, სორგო, დაქუცმაცებული ბარდა და სიმინდი, ხორბალი, ქერი, ფეტვი.

ხოხბის ვოილერებში გამოზრდის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ ჯერ ერთი, იგი ნაკლებ კონტაქტშია ადამიანთან, მეორეც, მას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა იფრინოს. ყოველივე ერთად კი საშუალებას იძლევა, რომ იგი წარმატებით იქნეს გამოყენებული ნადირობის ორგანიზებისას სამონადირეო მეურნეობებში.

ხოხობის მტრებად ითვლებიან მაწანწალა ძაღლები, კატები, ხვადასხვა მტაცებელი ცხოველები და ფრინველები.

ხელოვნური მოშენების დროს შესაძლებელი და რეკომენდებულია ხოხბის ერთდღიანი ლაპების შეძენა. ახლადგამოჩეკილ ხოხბის ლაპს ადვილად შეუძლია 3 დღე-ღამის განმავლობაში საკვების გარეშე გაძლება, რაშიც მას ყვითრის ტოპრაკი ეხმარება.

ხოხბის კვერცხი ქათმის კვერცხთან შედარებით უფრო მრგვალია და პატარა. კვერცხის ზომებია 42-46 X 33-37 მმ. კვერცხდება მიმდინარეობს აპრილ-მაისში. დედალი ბუდეში კვერცხებზე ზის და მას მხოლოდ საკვების მიღების დროს ტოვებს. ინკუბაციის პერიოდი გრძელდება 22-25 დღე, ხოლო ზოგიერთი მონაცემებით 26-27 დღე. კრუხობის დროს დედალი კარგავს სხეულის მასის 40% - მდე (ცხრილი 2).

ხოხბის კვერცხის ინკუბაციის რეჟიმი

ცხრილი 2.

დღეები	ტემპერატურა, t °c	ტენიანობა, %	ბრუნვათა რიცხვი	განიავება
1-7	37,8-38	60-65	ყოველ 4 სთ	-
8-14	37,8-38	60-65	დღე-ღამეში 5-6	-
15-21	37,8	60-65	დღე-ღამეში 4-5	1-ჯერ დღეში 15-20 წთ
22-25	37,5	75-80	-	-

ახლადგამოჩეკილი ხოხბის ლაპები სქელი ღინღლით არიან დაფარულები. მათი განვითარება თავიდან ძალიან სწრაფად მიმდინარეობს, მოგვიანებით იგი რამდენადმე ნელდება. სიცოცხლის მესამე დღისათვის მათ საკმაოდ კარგად უნვითარდებათ საფრენი ბუმბული და შეუძლიათ დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლეზე, 30მ-მდე სიგრძის მანძილის გადაფრენა. ათი დღის ასაკში უკვე აქვთ საჭის და საფრენი ბუმბული. 2-3 თვის შემდეგ ლაპები ბუმბულს იცვლიან, ერთი თვის ასაკში ლაპის მასა აღწევს 130 გრამს. მას უკვე შეუძლიათ 3 მეტრ სიმაღლეზე აფრენა და 30-40 მეტრზე გადაადგილება. 50 დღის ასაკში ლაპები უკვე კარგად დაფრინავენ, ხოლო 4-5 თვის ასაკში, სადღაც სექტემბერ-ოქტომბრის თვე-

ში, აღწევენ ზრდასრული ფრინველის ზომებს. ახლადგამოჩეკილი ლაპი პირველ ხანებში საკვებს ბუდესთან ახლოს მოიპოვებს. შემდეგ ცოტა მოცილებითაც გადაადგილდება, მაგრამ შორს წასვლა არ სჩვევია. ერთი ბუდის ლაპები თავიდან ერთად ცხოვრობენ. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ასე ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში რამდენიმე ბუდე ერთიანდება, იქმნება გუნდი, სადაც ფრინველთა რიცხვი ხშირად 50-ს აღწევს. დედალი მუდამ ლაპებთან ახლოს იმყოფება, მამალი მათ მხოლოდ შემოდგომაზე უერთდება. ამ დროს შეინიშნება ხოხბების ოჯახები, რომლებშიც ორი, ზოგჯერ კი სამი ასაკოვანი მამალია. ინკუბაციის პერიოდში, როდესაც დედლები კვერცხზე ჯდებიან, მამლებს განგური ეწყებათ. რაც შეეხება დედლებს, ისინი ბუმბულს მოგვიანებით იცვლიან, დაახლოებით მაშინ, როდესაც ლაპები ზომით ზრდასრულის ორმესამედს აღწევენ. ხოხობს განგური თავისა და კისრის ბუმბულის შეცვლით ეწყება, თითქმის ერთდროულად იცვლება საფრენი ბუმბული, ხოლო მოგვიანებით კუდისაც. ყველა ტიპის ბუმბულის ცვლა ერთდროულად ხდება. ზრდასრული ფრინველის განგური დიდხანს გრძელდება – 3 თვეზე მეტხანს. შემოდგომაზე ხოხბები გუნდებად ყალიბდებიან, დედლები და მამლები ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე. დედლების გუნდში ინდივიდთა რაოდენობა ზოგჯერ 100 ფრთასაც კი აღწევს, მაშინ როდესაც მამლების გუნდი შეიძლება სულ რაღაც 10 ფრთა/ფრინველისგან შედგებოდეს. ზამთრისათვის ხოხობი ძლიერ სუქდება, თუმცა როგორც კი ცივი ამინდები დგება მას ცხიმოვანი ფენა მალევე უქრება. ზამთარში ხოხობი იმალება ქარისაგან დაცულ ადგილებში. საკვების მოსაპოვებლად გამოდის მზის ამოსვლისას და უკან მის ჩასვლამდე ბრუნდება. საკვების სიმცირის გამო, რომელსაც მოკლე დღეც ერთვის, იგი ვერ იკმაყოფილებს ორგანიზმის მოთხოვნას მასზე, რის გამოც საგრძნობლად იკლებს მასაში. მკაცრი ზამთრის პირობებში ხოხობი შიმშილობს და ზოგჯერ იღუპება კიდეც.

სხვადასხვა სახეობის ხოხბის ცხოვრების ნირი ძირითადი ნიშნებით მსგავსია. იგი არ ბინადრობს ისეთ ტყეებში, სადაც მხოლოდ მაღალი ხეების მასივებია. ფრინველი უპირატესობას ანიჭებს ცალკეულ კორომებს, ხშირ ბუჩქნარს, რომელთა შორისაც შეიძლება აქა-იქ იყოს მაღალი ხეები დიდი ვარჯით და კოურებით. მისთვის განსაკუთრებით მისაღებია ისეთი ადგილები, სადაც აღნიშნული კორომები და ბუჩქნარი შემოსაზღვრულია ველ-მინდვრებით, არის წყალი. ხოხბის ზოგიერთი სახეობა მხოლოდ მაღალმთიან ქვეყნებში ბინადრობს, სხვები გვხვდებიან შედარებით დაბლობ რაიონებში, ლელქაშიან ადგილებში, მდინარეებისა და ზღვების სანაპიროებზე. ხოხობი გაურბის წიწვოვან ტყეებს. ზოგჯერ იგი ლერწმნარშიც გვხვდება.

ხოხობი საერთოდ თვინიერი ფრინველია. ის ძნელად ტოვებს საყვარელ ადგილებს, თუმცა მათი ამორჩევის დროს დიდ წინდახედულებას იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ იგი მუდმივად გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეზე, ფრენის შეზღუდული უნარის გამო, გადაფრენაში არ მონაწილეობს, მხოლოდ უკიდურესად აუცილებელ შემთხვევაში აფრინდება ხოლმე. ხოხობი განსაკუთრებულად მოძრავია სისხამ დილით და საღამოს. მზის ჩასვლის შემდეგ ის დასასვენებლად მიდის.

დაკვირვებებმა ცხადყვეს, რომ ველურ პირობებში ხოხობი მონოგამურია. მამალი გამრავლების დროს მხოლოდ ერთ, მის მიერ ამორჩეულ დედალთან იმყოფება და მონაწილეობას ღებულობს ლაპების გამოზრდაში. ნახევრად ველურ პირობებში მობინადრე ხოხობი პოლიგამურია. ის თავის ირგვლივ შემოიკრებს ხუთიდან ათამდე დედალს, თუ ამის ნებას მას სხვა მამლები მისცემენ.

გამოჩეკილ ლაპებზე დედალი ზრუნავს. იგი მზადაა მათთვის თავიც კი

გასწიროს. ლაპები დედასთან გვიან შემოდგომამდე რჩებიან. პირველად დედას მამლები ტოვებენ. მათი გარჩევა შესაძლებელია პატარა დეზებით. გაზაფხულზე დედას დედლებიც ტოვებენ. ამ დროს მათ უკვე შეუძლიათ გამრავლება.

როგორც ველურ, ასევე ნახევრადველურ პირობებში ხოხობი არ ავადდება რაიმე ტიპის ეპიზოოტური დაავადებით. მისი დასნეულება შესაძლებელია მოხდეს ვოილერებში ან გამოზამთრების პერიოდში გამოკვების დროს. ამ დროს იგი ავადდება იმ ავადმყოფობით, რომლითაც ავადდებიან შინაური ფრინველები. ამიტომ დაუშვებელია სახოხობე მეურნეობის სიახლოვეს შინაური ფრინველების შენახვა. არ შეიძლება ასევე უცნობი წარმომავლობის საკვების გამოყენებაც. სასურველია ხოხობს მეურნეობაში მომსახურე პერსონალის მიერ დამზადებული საკვები მიეცეს, რომელიც უშუალოდ მიდვრიდან იქნება მოტანილია და არა დასახლებული პუნქტიდან.

ხოხბის მოსაშენებლად შესაძლებელია ოთხი ტიპის სახოხბე მეურნეობის ორგანიზება:

1. თავისუფალი მეურნეობა, სადაც ხოხბები თავისუფლად არსებობენ;

2. ნახევრადთავისუფალი, სადაც ხდება ფრინველის გამოკვება და ნაწილობრივი გამოზამთრება ვოილერებში;

3. ხელოვნური, როდესაც ხოხბის კვერცხის ინკუბაცია ხდება ინკუბატორში, შინაური ქათმის ან ინდაურის კრუხის ქვეშ.

4. მეკვერცხული მიმართულების მეურნეობა, რომლის მთავარი მიზანია ხოხობის კვერცხის წარმოება.

თავისუფალი გამრავლება, ან უფრო სწორად ფრინველის ბუნებრივ პირობებში შენახვა, ყველაზე იაფ და ადვილ საშუალებად ითვლება.

ასეთი მეურნეობის ორგანიზება მომგებიანია ხოხბის ბუნებრივი გავრცელების ადგილებში. ამისათვის საჭიროა რამდენიმე ათასი ჰექტარი ფართობის შესაბამისი ტერიტორია, სადაც არ უნდა იყოს მაღალი ტყის მასივები. მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ ბუჩქნარში დასაშვებია მცირე რაოდენობით განაწილებული იყოს მაღალვარჯიანი ხეები. სასურველია იყოს კოჭრიანი ხეებიც, რომლებზეც ხოხობს უყვარს ღამის გათევა. კარგი იქნება, რომ ტყე იყოს შერეული ტიპის - წიწვოვან-ფოთლოვანი, ხოლო ბუჩქნარი იმ ნაყოფის მომცემი, რომლითაც ხოხობი იკვებება. ასევე სასურველია, რომ ბუჩქებს შორის ხარობდეს ბევრი მარადმწვანე ბუჩქი და ხე, ახლომახლო კი ხორბლის ნათესები იყოს. აუცილებელია, რომ ასეთი ტიპის ადგილებში იყოს წყალი (ტბა, მდინარე, გუბურა) და ტყისპირა მდელოები. აღნიშნული ტერიტორია უნდა იყოს დაცული, რათა ხოხობი თავისუფლად გამრავლდეს ბუნებრივ პირობებში. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მეურნეობა საკმაოდ იქნეს დაცილებული დიდი დასახლებული პუნქტებიდან და მის ახლოს არ გადიოდეს ტრასა. არ შეიძლება მსხვილი რქოსანი პირუტყვის ძოვება აღნიშნულ ადგილებში. მომსახურე პერსონალის მიერ სისტემატიურად უნდა მიმდინარებდეს ბრძოლა მტაცებელ ცხოველებთან და ფრინველებთან, აღკვეთილი უნდა იქნეს ბრაკონიერობა.

მეურნეობაში აუცილებელია მუდმივად მიმდინარეობდეს ფრინველის აღრიცხვა. სქესობრივი თანაფარდობის დაცვის მიზნით, ზოგჯერ საჭიროა ზედმეტი რაოდენობის ფრინველის განადგურება, რადგან ამაზე ბევრად არის დამოკიდებული აღნიშნულ საქმიანობის წარმატება. სქესობრივი თანაფარდობა ასეთი ღია ტიპის თავისუფალ მეურნეობაში უნდა იყოს 1:5. ნადირობის დროს დედლები ადვილად გასარჩევია მამლებისაგან. დედლებს არ ხოცავენ, ვინაიდან მათი რიცხვი მამლებთან შედარებით, სხვადასხვა მიზეზის გამო ისედაც მცირდება. ნადირობა ამ მიზნით იწყება მაშინ, როდესაც ხოხობი ზრდასრულ ასაკს მიაღწევს და შესა-

ძლებელი ხდება მისი სქესზე გარჩევა.

ხოხობი იყიდება დაკლული სახით, თუმცა ცოცხალ ხოხობზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა და ამგვარად მისი გაყიდვა ბევრად უფრო მომგებიანია.

ხოხბის ნახევრადთავისუფალი გამრავლება მოითხოვს არამარტო შესაფერისი სამონადირეო ადგილის შერჩევას, არამედ ამ ტერიტორიის ირგვლივ ღობის შემოვლებასაც. ყველა შესაფერის ადგილზე დარგული უნდა იქნას სხვადასხვა სახის საკვები მცენარეები, ასევე სხვადსხვა სახის ნაყოფის მომცემი ბუჩქები. გარდა ამისა საფუძველი უნდა ჩაეყაროს საკვებ მდელოებსა და მინდვრებს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე აუცილებელია ხოხობისთვის მოწყობილი იქნას საკვებურები. წყალს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ტიპის მეურნეობაში. იგი იყოს საკმარისი რაოდენობით და სუფთა. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორი კეთილმოწყობილიც არ უნდა იყოს მეურნეობა, ხოხობი დასტოვებს მას და გაფრინდება სხვაგან წყლის საძებნელად. საკვებურებთან ახლოს უპრიანია იყოს ქვიშა და კვარცის მარცვლები.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ხოხბის გამრავლება შესაძლებელია მკაცრ კლიმატური პირობებშიც. მას წარმატებით ამრავლებენ ფინეთში, ჩრდილოეთ ამერიკისა და სკანდინავიის ქვეყნების სხვადსხვა ზონებში.

ყინვების მომატებასთან ერთად გამოკვების პროცესი უნდა გაძლიერდეს და არ უნდა შეწყდეს გაზაფხულამდე, თოვლის დადნობამდე, ნიადაგის გალღობამდე. გაზაფხულზე უშვებენ სანაშენე ხოხობს, ყოველ 60-100 ჰექტარზე 12 ფრთა/ფრინველის ოდენობით (10 დედალი, 2 მამალი).

ხოხობი შეიძლება დაავადდეს ფრინველისათვის დამახასიათებელი ინფექციური, ინვაზიური და სხვადასხვა არაგადამდები დაავადებებით.

ხოხბის ინფექციური დაავადებები ვრცელდება ინფიცირებული საკვებით, წყლით, ინვენტარით ან დაავადებულ ფრინველთან კონტაქტით. ყველაზე გავრცელებულ ინფექციურ დაავადებებს მიეკუთვნება:

ინფექციური ლარინგოტრაქეიტი - ამ დროს ფრინველი კარგავს ჭამის მადას, აცემინებს, ახველებს და შესაბამისი მკურნალობის ჩაუტარებლობის შემთხვევაში კვდება;

ყვავილი – იწვევს კვერცხმდებლობის მკვეთრად დაცემას.

ფსევდოჭირი – ხასიათდება მაღალი სიკვდილიანობით. დაავადებულ ინდივიდებს ულურჯდებათ კანი, შეინიშება ლორწოვანი გამონადენი ცხვირიდან, განავალი არის თხევადი ყვითელი ან მწვანე შეფერილობით.

მარეკის დაავადება – იგი ერთ-ერთი საშიში დაავადებაა. ამ დროს ფრინველს ძლიერ უქვეთდება იმუნიტეტი და ადვილად ავადდება. დაავადებულ ფრინველს ეგრიხება ფეხის თითები და კისერი. ინფიცირებული ფრინველი მკურნალობას არ ექვემდებარება. მას კლავენ, ტანხორცს კი ანადგურებენ.

პასტერელოზი – აღნიშნული დაავადება სწრაფად ვრცელდება და იწვევს სხვადსხვა შინაგანი ორგანოების ანთებით პროცესს.

სალმონელოზი - ამ დროს ფრინველი იწამლება, აღნიშნული დაავადება არამარტო ფრინველისათვის, არამედ ადამიანისთვისაც საშიშია. დაავადებულ ფრინველს კლავენ და ტანხორცს წვავენ.

ხოხბის ინვაზიური დაავადებები შეიძლება გამოწვეული იყოს არასათანადო შენახვის პირობებით, უხარისხო საკვებითა და წყლით. გავრცელებულ ინვაზიურ დაავადებებს მიეკუთვნება:

ქეცი – გამომწვევია ტკიპები. თავდაპირველად მათი ზემოქმედებით თავზე ვითარდება კიროვანი ნადები, რომელიც დაავადების განვითარების ხარისხის მიხედვით გადადის ნისკარტზე, ფეხებზე და კლოაკაზე.

სასუნთქ ორგანოებში მოხვედრილი ტკიპა – ამ დროს ფრინველი ძალიან იკლებს წონაში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ჰაერის უკმარისობის გამო შესაძლოა დაიღუპოს კიდეც.

ბღერი – იგი არ იწვევს ფრინველის სიკვდილს, თუმცა აუარესებს მის გარეგნობას. დაავადება ჩნდება წლის თბილ პერიოდში.

ჰისტომონოზი – ფრინველს აავადდებს დასნებოვნებული საკვები, წვიმის ჭიაყელები ან მწერები. ხოხობი ცოტას ჭამს, ხდება, ერთი თვის განმავლობაში მკვეთრად ეცემა მისი პროდუქტიულობა.

ხოხბის არაგადამდები დაავადებები საშიშია მხოლოდ უშუალოდ ცალკეული ინდივიდებისათვის, რადგანაც იგი არა არის პროვოცირებული რაიმე ვირუსით ან ბაქტერიით და არ გადაედება სხვებს. გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს შენახვისა და კვების ცუდი პირობები. ამ დროს მნიშვნელოვნად ეცემა როგორც მეკვერცხული, ასევე მეხორცული პროდუქტიულობა. გავრცელებულ არაგადამდებ დაავადებებს მიეკუთვნება:

დერმატიტი – იგი იწვევს კანის ანთებას სხეულის სხვასხვა დაზიანებულ და ტრამვირებულ ადგილებზე. მკურნალობა რთულია რადგან ფრინველი ნისკარტით განუწყვეტლად ეხება მტკივნეულ ადგილებს. მკურნალობენ იოდის ხსნარითა და სპეციალური მალამოთი. საკვებ რაციონს ამდიდრებენ ვიტამინებით და მინერალური ნივთიერებებით.

ემფიზემა – ამ დროს კანის ქვეშ წარმოიქმნება გამობერილობა, რომელიც გადაადგილდება თითების შეხებით. მასში არის ჰაერი და ფრინველს უჭირს სუნთქვა. მკურნალობის მიზნით გახვრეტენ გამობერილობას და დაზიანებულ ადგილს ამუშავებენ ანტისეპტიკური საშუალებით, ხოლო ფრინველს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამყოფებენ დაფიქსირებული ფრთებით, რათა ნაკლებად იმოძრაოს.

ჩიჩახვის დაბინძურება – ჩიჩახვში ხვდება შედარებით დიდი ზომის საკვები ან სხვა რაიმე უცხო სხეული. ამ დროს საჭიროა თითებით მიხმარება, რომ ის ჩიჩახვიდან კუჭში გადავიდეს. ზოგჯერ როცა ეს არ ხერხდება, მიმართავენ ქირურგიულ ჩარევას – ჭრიან ჩიჩახვს, რაც ვეტერინარის პრეროგატივაა.